შპს მ.ზოდელავას ჰემატოლოგიური ცენტრი ს/ნ 204966858

2019 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ქ. თბილისი

2020 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომაეობით
ქართულ ლარში

აქტივები	შენიშვნა	2019	2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1009229	987267
არამატერიალური აქტივები	5	3769	3972
საინვესტიციო ქონება	10		
სულ გრძელვადიანი აქტივები		1012998	991239
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	50221	80446
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	703705	429454
მარაგები	8	79225	63351
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები		0	0
წინასწარ გადახდილი გადასახადები		33813	36978
გაცემული სესხები		0	0
სულ მოკლევადიანი აქტივები		**866964**	**610229**
სულ აქტივები		1879962	1601468

მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-2000	-2000
გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი		-454186	-347189
გადაფასების რეზერვი		-853293	-860290
სულ კაპიტალი		**-1309479**	**-1209479**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	-201094	-272155
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-201094	-272155
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	11		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	-369389	-119834
საგადასახადო ვალდებულებები			0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		-369389	-119834
სულ ვალდებულებები		-570483	-391989
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**-1879962**	**-1601468**

აღმასრულებელი დირექტორი ლ.გელიაშვილი

მთავარი ბუღალტერი ს. კერესელიძე

მოგება–ზარალის და სრული შემოსავლების ანგარიშგება

2019 წლის დასრულებული წლისათვის

ქართულ ლარში

	9 შენიშვნა	2018
ამონაგები	12	-2612956
თვითღირებულება	13	2083748
საერთო მოგება		-529208
სხვა შემოსავლები	12	-10245
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	16	151843
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	14	95
სხვა ხარჯები		4645
საოპერაციო მოგება		**-382870**
ფინანსური შემოსავალი		
ფინანსური ხარჯი	17	27926
წმინდა სავალუტო მოგება/ზარალი		758
მოგება დაბეგვრამდე		**-354186**
მოგების გადასახადი	18	37078
წმინდა მოგება		**-317108**
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების რეზერვი		-8479
მთლიანი სრული შემოსავალი		**-325587**

აღმასრულებელი დირექტორი ლ.გელიაშვილი

მთავარი ბუღალტერი ს. კერესელიძე

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	**-2000**	**-924199**	**-283280**	**-1209479**
წმინდა მოგება		-8479	-317108	-325587
სხვა სრული შემოსავალი			0	0
პერიოდის სრული შემოსავალი			**-317108**	**-325587**
გაცემული დივიდენდი			210110	210110
საწესდებო კაპიტალის ზრდა		15477		15477
2019 წლის 31 დეკემბერი	-2000	-917201	-390278	-1309479

აღმასრულებელი დირექტორი ლ.გელიაშვილი

მთავარი ბუღალტერი ს. კერესელიძე

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

შპს მ.ზოდელავას ჰემატოლოგიური ცენტრი ს/ნ 204966858			
ფულადი ნაკადების ანგარიშგება			
		2018	**2019**
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებიდან და დამკვეთებისგან მიღებული ფულადი სახსრები	6/1		2348869
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	6/2		10245
ზარალის დასაფარად/ზიანის ასანაზღაურებლად/ მიღებული თანხები			
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	6/3		-722075
გაცემული შრომის ანაზღაურება	6/4		-1270201
სამივლინებო ხარჯების ანაზრაურება			
თანამშრომლებზე გაცემული სხვა ხარჯების ანაზღაურება და ავანსები			
გადახდილი გადასახადები /მოგების გადასახადის გარდა/			0
გადახდილი მოგების გადასახადი			-37821
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები			-44124
განსაკუთრებული მუხლებიდან შემოსულობანი/გაცემები ნეტო/ნეტო			-6036
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი			278857
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გასვლიდან შემოსულობანი			
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა			
გრძელვადიანი ინვესტიციების გასვლიდან შემოსულობანი			
სესხის გაცემა			
გაცემული სესხის დაბრუნება			
მიღებული პროცენტები			
მიღებული დივიდენდები			
მიღებული შემოსავალი ერთობლივი საქმიანობიდან			
სხვა შემოსულობანი/გაცემები საინვესტიციო /ნეტო			
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი			
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:			
შემოსულობანი აქციების ემისიისაგან/კაპიტალის ზრდისაგან			
საკუთარი აქციების გამოსყიდვა კაპიტალის შემცირების გამო			
მოკლევადიანი სესხების აღება			
მოკლევადიანი სესხების დაფარვა			
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების აღება			
გრძელვდიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების დაფარვა			-71061
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებების დაფარვა			
გადახდილი პროცენტები			-27911

გადახდილი დივიდენდები			-210110
გადახდილი მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან			
სხვა შემოსულობანი/გაცემები საფინანსო საქმიანობიდან /ნეტო			
საფინანსო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი			-309082
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა/კლება/ნეტო			
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტის წმინდა ნაზარდი:			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისისათვის			80446
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოსათვის		80446	50221

აღმასრულებელი დირექტორი ლ.გელიაშვილი

მთავარი ბუღალტერი ს. კერესელიძე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის II გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მ.ზოდელავას ჰემატოლოგიური ცენტრი„-ს (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობის გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პრინციპების და პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობასა და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მ ს ს ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები მსს ფასს-იდან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას დაფრთხე არ ემუქრება.

ხემძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 10 მარტს

ლ.გელიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

ს. კერესელიძე

მთავარი ბუღალტერი

1. ორგანიზაციის საქმიანობა

შპს „მ.ზოდელავას ჰემატოლოგიური ცენტრი„ (ს/კ 204966858) (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შესღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანია“ დაარსებულია 2001 წლის 24 ივლისს. კომპანიის მთავარი საქმიანობის სფერო არის სამედიცინო მომსახურება. ასევე ფარმაცევტული საქმიანობა, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბე ჩუღურეთის რაიონში თევდორე მღვდლის ქ # 13.

კომპანია წარმოადგენს სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც ძირითადადორიენტირებულია ჰემატოლოგიის პროფილზე. კომპანიაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 44 თანამშრომელი, ხოლო საშუალოდ 2019 წელს დასაქმებული იყო 46 თანამშრომელი

მფლობელებს შორის წილები განაწილებულია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2019
ირაკლი ბასილაძე 6100101441817,5%	17,5%	
ნათელა იორამაშვილი 01010008915	17,5%	17,5%
მამია ზოდელავა 01008004116	40%	40%
ნინო სესკურია 01008024109	10%	10%
ელენე ფოცხვერიშვილი 01026000597	15%	15%
სულ	100%	100%

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინმდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრიმციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის ორგანიზაციის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად პირველად მოხდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება. შესაბამისად, ორგანიზაციამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის საფუძველზე, რომელიც მოქმედებს 2019 წლის 1იანვრიდან დაწყებული და შემდგომ პერიოდებზე. ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს, კომპანიამ საწყისი ფინანსური ანგარიშგება მოამზადა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის თარიღი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და გამარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. კომპანიის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. კომპანიის შეხედულებებით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

ქვემოთ მოყვანილი სააღრიცხვო პოლიტიკა კომპანიამ თანმიმდევრულად გამოიყენა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ყველა პერიოდთან მიმართებაში.

სამედიცინოშემოსავლები

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლების ოდენობა საიმედოდ შეიძლება შეფასდეს ან სავარაუდოა, რომ მომავალში ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია კომპანიისთვის. ჯანდაცვის შემოსავლები მოიცავს შემოსავლებს სამედიცინო მომსახურების გაწევის შედეგად მიღებულ ან მისაღებ შემოსავლებს სამართლიანი ღირებულებებით, ჯანდაცვის შემოსავლები შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

შემოსავალი კერძო პაციენტებისგან - კომპანია აღიარებს არადაზღვეული პირების შემოსავალს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების და კომპანიის დამტკიცებული ფასების საფუძველზე. ჩვეულებრივ, ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ან ნაღდი ანგარიშსწორებით. გაწეული მომსახურება აღიარებულია იმ საანგარიშო პერიოდში როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა.

შემოსავლები იურიდიული პირებისგან - კომპანია აღიარებს შემოსავალს ფაქტობრივად გაწეული მომსახურებისას დადებული კონტრაქტის საფუძველზე, ანგარიშსწორება ხდება გარკვეული პერიოდულობით, რომელიც არის ხელშეკრულებით დამტკიცებული.

შემოსავლები სადაზღვეო კომპანიებისაგან - კომპანია აღიარებს ფიზიკურ პირთა შემოსავალს, რომლებიც დაზღვეულია სახვადასხვა სადაზღეო კომპანიის მიერ ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების საფუძველზე და შეთანხმებულ მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით.

შემოსავლები სახელმწიფო სტრუქტურებისგან - კომპანია აღიარებს იმ პირთა შემოსავალს, რომლებიც სახელმწიფო პროგრამების მიერ ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების შევსების საფუძველზე და შეთანხმებილ მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით.

გაწეული სამედიცინო მომსახურების დანახარჯი

გაწეული სამედიცინო მომსახურების დანახარჯი არის ის ხარჯი, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული სამედიცინო მომსახურებისგან მიღებული შემოსავლის გამომუშავებასთან. აღნიშნული სამედიცინო დანახარჯები მოიცავს სამედიცინო პერსონალის პირდაპირ და არაპირდაპირ სახელფასო ანაზღაურებას, მასალებს, მარაგების, კომუნალურ და სხვა პირდაპირ ხარჯებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებისა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება სპეციფიკური იდენთიფიკაციის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითდი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

შენობა და კომერციული ფართები - 20 – 50 წელი

მანქანა - დანადგარები - 5 წელი

ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი

ავეჯი და სხვა ინვენტარი - 5 წელი

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი

შეკეთება განახლებასთან ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათ ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი. ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყევეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ წლის მოგება - ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

არამატერიალური აქტივები

აღიარება და შეფასება

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს. ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული ვადით.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირებულია სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადის - 5 წლის განმავლობაში.

ამორტიზაცია

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია აისახება მოგება ან ზარალში, შემცირებადი ნაშთის გამოყენებით, ძირითადი საშუალებისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- ლიცენზიები 7 წლამდე;

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს.

აღიარების შეწყვეტა

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა განსხვავების შედგად აღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის მუხლი შედგება: დამფუძნებლის მიერ მატერიალური შენატანებისგან, 2018 წლიდან მოყოლებული დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისაგან და 2010 წელში შენობის გადაფასებით მიღებული რეზერვისგან. კომპანია მიღებულ მოგებას ძირითადად იყენებს რეინვესტირებისთვის. საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო და სხვა მოკვლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იქნება აღნიშნული დანახარჯი.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოყვანილი მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორისი სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლით კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები (მაგ: გასაყიდად არსებული წილობრივი ინსტრუმენტები) კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლით კურსი

გაცვლით კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,8677

გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,6766

საშუალო გაცვლით კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის2,5345

საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის 2,8192

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადებს. მიმდინარე გადასახადები აღიარდება მოგება ან ზარალში გარდა გადასახადების იმ ნაწილისა, რომელიც მიეკუთვნება ისეთ მუხლებს, რომლებიც აღიარდება პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის, აგრთვე, წინა წლის საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი დაზუსტება.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვეო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისაგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გამოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადასახადებს, რომლებიც არ უკავშირდება პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებას და ზღვარ გადაცილებულ წარმომადგენლობით ხარჯებს.

დივიდენდები

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება დირექტორთა საბჭოს საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასებების ძირითადი საფუძვლები

მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვევით.

სამართლიანი ღირებულება- არის ფასი რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადაიხდება საიმედოდ, რომ მოხდეს ვალდებულების დაფარვა კანონიერი გარიგების საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისას. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი.

ისტორიული ღირებულება– არის გადახდილი ფულის ან ფულადი ექვიალენტების თანხა ან შეძენის დროს აქტივის შესაძენად გაცემული სხვა ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება და მოიცავს ტრანზაქციის ხარჯებს. თვითღირებულების გაანგარიშება გამოიყენება მხოლოდ იმ წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციების მიმართ, რომელთაც არ აქვთ კვოტირებული საბაზრო ფასი და რომელთა სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ გაანგარიშება შეუძლებელია.

ტრანზაქციის ღირებულება არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას და განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო და მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომელებისთვის რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ

ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებელს. ტრანზაქციის ღირებულება არ მოიცავს სავალო პრემიებს ან ფასდაკლებებს, დაფინანსებების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება– არის თანხა, რომლითაც ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველ აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადასახადის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი– არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი – არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულად შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები, დერივატივები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც აღირიცხება სამართლიანი ღირებულებებით მოგება-ზარალში ასახვით, თავდაპირველად აღარდება სამართლიანი ღირებულებებით. სხვა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტები აღიარდება სამართლიანი ღირებულებებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას სამარლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირელ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შეიძლება იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალში, როდესაც იგი

წარმოიქმნება ერთი ან მეტი შემთხვევის დადგომის შედეგად („ზარალის შემთხვევები“), რომლებიც მოხვდა ფინანსური აქტივის თავდაპირბელი აღიარების შემდეგ და რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობაზე და დაფარვის დროზე, და რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია. თუ განსაზღვრავს, რომ არ არსებობს არანაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება (მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო) ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, ის აქტივს მიაკუთვნებს მსგავსი საკრედიტო რისკ-მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფს და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ. ძირითადი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც განსაზღვრავს, არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და შესაბამისი უზრუნველყოფის რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს. ქვემოთ მითითებული სხვა ძირითადი კრიტერიუმები ასევე გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის არსებობს თუ არა ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება:

- შესატანი დაგვიანებულია და დაგვიანებული გადახდა არ არის გამოწვეული ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეული დაყოვნების გამო;
- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოან ფინანსურ სირთულეებს, რაც დასტურდება მსესხებელის ფინანსური მდგომარეობის შესახებ კომპანიის მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან;
- მსესხებელი განიხილავს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას
- არსებობს უარყოფითი ცვლილება მსესხებლის გადახდის სტატუსში ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებელზე; ან
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის გაუარესებული მდგომარეობის შედეგად.

გაუფასურების ერთობლივად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლის მქონე აქტივებად. ეს მახასიათებლები მოიცავს აქტივთა ჯგუფების მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების შეფასებას, რომელიც აჩვენებს მსესხებლების უნარს ყველა ვადადამდგარი თანხის დაფარვა განახორციელონ შეფასებული აქტივიების სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

მომავალი ფულადი ნაკადები იმ ფინანსურ აქტივებში, რომელთა გაუფასურებაზე შეფასებაც ერთობლივად ხორციელდება, იანგარიშება ამ აქტივების სახელშეკრულებო პირობების შედეგად მისაღები ფულადი სახსრების და ხალმძღვანელობის წარსული გამოცდილების საფუძველზე გაკეთებული შეფასებით, ზარალის შემთხვევის შედეგად თუ რა ოდენობა სესხებისა მოხვდება ვადაგადაცილებაში და რამდენად წარმატებულად მოხდება ვადაგადაცილებული ოდენობის დაფარვა. წარსულის გამოცდილება კორექტირდება მიმდინარე დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე იმ არსებული პირობების შედეგების ასახვის მიზნით, რომებმაც გავლენა არ მოახდინა გასულ პერიოდზე და წარსული პირობების იმ შედეგების გამოსარიცხად, რომლებიც ამჟამად არ არსებობს.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით ფლობილი გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაიხედება ან სხვაგვარად შეიცვლება მსესხებლის ან ემიტენტის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება შეფასდება პირობების შეცვლამდე გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ხორციელდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომლებიშიც არ შედის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები, რომლებიც არ დამდგარა) მიმდინარე ღირებულებამდე ჩამოწერით, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის საანგარიშო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს დასაკუთრებიდან მიღებულ ფულად ნაკადებს, მინუს უზრუნველყოფის მიღებისა და გაყიდვის ხარჯები, მიუხედავად იმისა დასაკუთრება მოსალოდნელია თუ არა.

თუ რომელიმე მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და შემცირება ობიექტურად დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების აღიარების შემდეგ (როგორიცაა გაუმჯობესება დებიტორის საკრედიტო რეიტინგში), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუქმდება რეზიზიის ანგარიშის კორექტირებით, რომელიც ასახვას ჰპოვებს მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

ამოუღებადი (უიმედი) აქტივები ჩამოიწერება შესაბაისი გაუფასურების ანარიცხის ხარჯზე - ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროედურის დასრულებისა და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება.

ორგანიზაცია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (გ) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის გადაცემა ან (დ) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაკისრების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ახალი ან შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღმა ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. კომპანიამ შეაფასა, შეძლებისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ბასს 28-ში შესული ცვლილებები (2014-2016 პერიოდის ფასს სტანდარტების ყოველწლიური ცვლილებები, გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანრიდან ან/და შემდგომ პერიოდშებში (ნებადართულია ადრეული გამოყენება), აზუსტებს:

მოკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციების, ასევე ინვესტიციების ერთობლივ საქმიანობაში, რომელიც განხორციელებულია ვენჩურული კაპიტალის მქონე, საერთო ფონდების, ან სხვა მსგავსი ტიპის ორგანიზაციების მიერ, უფლება აქვთ თითეული ინვესტიცია თავდაპირველი აღიარებისას აღიაროს სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

ცვლილებებს არ მოუხდნია გვალენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 40-ში შესული ცვლილებები (გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან/და პერიოდის შემდეგ (ნებადართულია ადრეული გამოყენება).

განმარტავს, რომ საინვესტიციო ქონების კლასიფიკაცია სხვა მუხლებში, ან პირიქით სხვა მუხლებიდან საინვესტიციო ქონებაში კლასიფიკაცია მხოლოდ მაში უნდა განხორციელდეს (მათ შორის იმ აქტივობისა რომლებიც არის მშენებლობის და განვითარების სტადიაში) როდესაც არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ქონების გამოყენების შინაარსის ცვლილება მოხდა. ცვლილებებს არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს–10 და ბასს 28-ში „ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების „შეძენა/გაყიდვა"(გამოიცა 2014 წლის სექტემბერში), ცვლილებები ეხება ორ სტანდარტს შორის არსებულ შეუთავსებლობას და განმარტავს, რომ მოგება ან ზარალი სრულად უნდა იქნას აღიარებული, როდესაც ტრანზაქციაში ჩართულია ბიზნესი, და ნაწილობრივად, თუ მასში ჩართულია აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს. ამ ცვლილებების ამოქმედების დღე თავდაპირველად იყო 2016 წლის იანვარი, მაგრამ გადაიდო განუსაზღვრელი ვადით, თუმცა მისი ადრეული გამოყენება ჯერ კიდევ ნებადართულია. აღნიშნულ ცვლილებებს არ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები" (გამოიცა 2014 წლის ივლისში)– ეს სტანდარტი ჩაანაცხვლებს ბასს-39-ს და ფასს–9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს. იგი შეიცავს მოთხოვნებს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასებისათვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვისა და აღიარების შეწყვეტისათვის.

ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი შეფასდეს ამორტიზირებული ან სამართლიანი ღირებულებით (მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ან სხვა სრულ შემოსავალში) იმის მიხედვით, თუ რომელ ბიზნეს მოდელში ექცევა ისინი ან როგორია მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსური ვალდებულებებისათვის ფასს 9-ის ყველა მნიშვნელოვანი გავლენა დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, როდესაც შერჩეულია სამართლიანი

ღირებულების მეთოდი: სამართლიანი ღირებულებით მოგება–ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულების ცვლილება, რომელიც უკავშირდება აღნიშნული ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში და არა მოგება ზარალის ანგარიშგებაში. გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული იწვევს სააღრიცხვო შეუსაბამობას. ფინანსური აქტივების გაუფასურებისათვის ფასს 9 უზრუნველყოფს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელს, რომელიც დამყარებულია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების ცნებაზე ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე; საკრედიტო ზარალის აღიარებამდე აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობის საჭიროება.

ჰეჯირების აღრიცხვისათვის ფასს 9 შეიცავს არსებით შესწორებებს, რომელთა თანახმად ფინანსურ ანგარიშგებაში უკვე აისახება რისკის მართვის საქმიანობები, როდესა ხდება ფინანსური და არაფინანსური რისკის ჰეჯირება.

აღიარების შეწყვეტის დებულებები თითქმის უცვლელად არის გადმოტანილი ბასს 39-იდან.

ხელმძღვანელობის მოლოდინით ფასს 9 გამოყენებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ახალი სტანდარტის გამოყენებას სავარაუდოდ გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე. ამ ეტაპზე კომპანია არის შეფასების პროცესში, თუ რა გავლენას მოახდენს ფასს 9-ზე გადასვლა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ დასრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 15 „შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ (გამოიცა 2014 წლისმაისში)- ახალი სტანდარტი, რომელიც ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 11, ბასს 18 და მათ ინტერპრეტაციებს (იმლ 31 და ფაისიკ 13, 15, და 18) იგი აწესებს შემოსავლების აღიარების ერთიან და ამომწურავ სისტემას, რომელიც მუდმივად ექნება გამოყენებული სხვადასხვა ტრანზაქციებთან, ინდუსტრიებთან და საფონდო ბაზრებთან მიმართებაში ძირითადი პრინციპებით (ხუთი ეტაპის მოდელზე დაყრდნობით, რომელიც იმოქმედებს მომხმარებლებთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაზე), გაუმჯობესებული განმარტებებით, და ახალი ან გაუმჯობესებული ინსტრუქციებით (მაგ: როდის ხდება შემოსავლის აღიარება, ცვალებადი ანაზღაურების აღრიცხვა, ხელშეკრულების შესრულების და მიღების ხარჯები, და სხვა). დირექტორების მოლოდინით, ფასს 15-ის გამოყენება

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს კომპანიის შემოსავლებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე, თუმცა არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 16 „იჯარა“ (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდა 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს–17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეს (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალღირებულებიანი იჯარისა) ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი რჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება.

დირექტორების აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს კომპანია, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალებულო. თუმცა არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2018 წლის მაისი) – სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4–ს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ადრეული გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9–ს და ფასს 15–ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვეო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადეგ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვეო გარიგებისთვის. ზემოხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისთვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვეო გარიგების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვეო ხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღირიცხოს გადაზღვევისა და დაკისრებული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები.

ფინანსურიანგარიშგებისგანმარტებითი

შენიშვნები

შენიშვნა – 4

ძირითადი საშუალებები

ლარში	შენობა–ნაგებობები	მანქანა–დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	ჯამი
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	908583	72359	60736	0	0	1041678
შესყიდვა	0	14729	19905		0	34634
გასვლა			400	0		400
გაუფასურება						0
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია	5131					5131
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	913714	87088	80241	0	0	1081043
დაგროვილი ცვეთა						0
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	-45155	-4848	-4408			-54411
ცვეთის ხარჯი	-9137	-4354	-3912			-17403
გასული აქტივის დაგროვ. ცვეთა						0
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	-54292	-9202	-8320	0	0	-71814
საბალანსო ღირებულება						0
2017 წლის ბოლოს	**863428**	**67511**	**56328**	**0**	**0**	**987267**
2018 წლის ბოლოს	**859422**	**77886**	**71921**	**0**	**0**	**1009229**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოშიკომპანიის ძირითად საშუალებებზე რეგისტრირებულია ყადაღა/აკრძალვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28,12,2016 წლის განჩინება # 2/39827-16–ის საფუძველზე .

2019 წლის ცვეთის ხარჯიდან 54 411 ლარი აღიარებულ იქნა პირდაპირ საოპერაციო ხარჯად.

შენიშვნა – 5

არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2018 წლის ბოლოს	4052		0	4052
შემოსვლა			0	0
გასვლა			0	0
2018 წლის ბოლოს	4052	0	0	4052
დაგროვილი ამორტიზაცია				0
2018 წლის ბოლოს	80		0	80
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	203		0	203
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია				0
2019 წლის ბოლოს	283	0	0	283
საბალანსო ღირებულება				0
2018 წლის ბოლოს	3972	0	0	3972
2019 წლის ბოლოს	3769	0	0	3769

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის არამატერიალური საშუალებები არ არის დაგირავებული. კომპანიის ბალანსზე არ არის სრულად ამორტიზირებული არამატერიალური საშუალებები.

შენიშვნა – 6 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	12/31/19	12/31/18
ფული სალაროში	507	647
ფული საბანკო ანგარიშებზე	49714	79799
	50221	80446

არ არსებობს მატერიალური სხვაობა ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

შენიშვნა – 7 სავაჭრო და სხვა მკლევადიანი მოთხვნები

ლარი	31/12/2019	31/12/2018
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	669866	388617
საეჭვო ვალების ანარიცხების რეზერვი	33839	40837
მოთხოვნები საქარმოს პერსონალის მიმართ	0	0
	703705	429454

არ არსებობს მატერიალური სხვაობა დებიტორულ მოთხოვნების საბალანსო და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

შენიშვნა – 8 მარაგები

ლარში	31/12/2019	31/12/2018
მზა პროდუქცია	78945	63351
ნედლეული		0
დაუმთავრებელი წარმოება	280	0
საქონელი	79225	63351
სხვა მარაგები		

შენიშვნა– 9 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	31/12/2019	31/12/2018
სავაჭრო ვალდებულებები	-320332	-75707
მიღებული ავანსები	-49057	-44127
გადახდილი პროცენტები		
გადახდილი დივიდენდები		
სხვა ვალდებულებები	0	
	-369389	-119834

შენიშვნა – 11 სესხები

ლარში	მოკლევადიანი		გრძელვადიანი	
	31/12/2019	31/12/2018	31/12/2019	31/12/2018
ბანკის სესხები	0		-201094	-272155
დაკავსირებული მხარეების სესხი	0			
ოვერდრაფტები	0			
სულ სესხები	0	0	-201094	-272155

შენიშვნა – 12 ამონაგები

ლარი	31/12/2019	31/12/2018
შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან	-2612956	
იჯარა და დღგ–ით დასაბეგრი ოპერაციები	0	
სხვა საოპარაციო შემოსავლები	0	
	-2612956	0

შენიშვნა – 13 თვითღირებულება

ლარში	31/12/2019	31/12/2018
მზა პროდუქციის თვითღირებულება		
ნედლეულის თვითღირებულება		
მომსახურების თვითღირებულება	2 083 748	
	2083748	0

შენიშვნა – 14 მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

ლარი	31/12/2019	31/12/2018
სარეკლამო ხარჯი	95	
საწვავის ხარჯი		
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი		
რეალიზაციის ხარჯი		
	95	0

შენიშვნა 15

ლარი	31/12/2019	31/12/2018
დებიტორული დავალიანების კორექტირება	2131	
არასაოპერაციო ხარჯი	2514	
მზა პროდუქციის განადგურების ხარჯი	0	
მოგების გადასახდის ხარჯი	0	
კანონმდებლობის თანახმად ქონების გადასახადი	0	
	4645	0

შენიშვნა – 16 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	31/12/2019	31/12/2018
შრომის ანაზღაურება	18262	
ცვეთა და ამორტიზაცია		
საგადასახადო ხარჯი		
საკონსულტაციო ხარჯი	10800	
რემონრის ხარჯი		
ბანკის მომსახურება	5260	
წარმომადგენლობითი ხარჯი	565	
იჯარის ხარჯი		
დაზღვევის ხარჯი		
მივლინების ხარჯი		
კომუნიკაციის ხარჯი		
კომუნალური ხარჯი	41086	
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	75870	
	151843	0

შენიშვნა – 17 ფინანსური ხარჯი

ლარი	31/12/2019	31/12/2018
ბანკის სესხის პროცენტი	27926	
დაკავშირებული მხარის სესხის პროცენტი		
სხვა ფინანსური ხარჯები	27926	0

8 მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებს ერთ–ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა2017 წლის 1 იანვრიდან.

შენიშვნა – 18 მოგების გადასახადის ხარჯი

ლარი	31/12/2019	31/12/2018
მიმდინარე მოგების ხარჯი	37078	0
	37078	0

საანგარიშო წელში შპს–ს განაწილებული აქვს მოგება 210110 ლარი, საიდანაც მოგების გადასახადმა შეადგინა 37078 ლარი.

გადავადებული მოგების გადასახადი

ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილებს შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება მოგების განაწილების დროს არ აღიარდება კომპაიის ბალანსზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთა მიმართებაში. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებული შემდეგ ვალუტაში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	50221	0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	703705	0	0
გაცემული სესხები		0	0	0
სულ ფინანსური ვალდებულებები		753926	0	0

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო
სესხები	11	-201094	0	0
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	-369389	0	0
სულ ფინანსური ვალდებულებები	20	-570483	0	0

31 დეკემბერი 2019 წელი

აშშ დოლარის გავლენა					
მოგება/ზარალი	317108	110578	317108/110579	27644	20%
	317108	138222	317108/92149	-18430	-20%

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსი სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკურსი სხვაობის განაკვეთების ცვლილებების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

15 კაპიტალი

2019 წლი 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენ 2000 ლარს.

გადაფასების რეზერვი – 853 293 ლარს და გაუნაწილებელი მოგება 454 186 ლარს. შპს–ს მთლიანი კაპიტალი 1 309 479 ლარს შეადგენს.

2019 წლის საანგარიშგებო პერიოდში შპს–ს დივიდენდი აქვს განაწილებული

210 110 ლარი

16 მიღებული სესხები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს სასესხო ვალდებულება, 201 094 ლარი

2019 წლის სესხის საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 27 926 ლარი.

ხელშეკრულების მიხედვით სესხის ძირის და პროცენტის გადახდა წარმოებდა ყოველთვიურად.

17 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა რომ, მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვრ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულის წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვლილებადობს შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ერთ–ერთ ძირითად კომპონენტს – სავალუტო რისკს.

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასანგრევად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	1/01/2019	31/12/2018
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	50221	
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	703705	
გაცემული სეხები		
	753926	0

შენიშვნები – 14

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები	მოკლევადიანი ვალდებულებები
2019 წლის დასაწყისში	**-272155**	**-119834**
სესხები	-272155	0
საგადასახადო ვალდებულებები		0
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		-119834
2019 წლის ბოლოს	**-201094**	**-369389**
სესხები	-201094	
საგადასახადო ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		-369389
მიღებული ავანსები		0

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მერე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების ან შესრულების შემთხვევში.

2018 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთამნეთს არ ემთხვევა.

ხელმძღვანელობის პოზიციით, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

18 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შპს „მ.ზოდელავას ჰემატოლოგიური ცენტრი„–ს ს/ნ 204966858 მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

არის პირველი, რომელიც მან მსს ფასს–ების სრული დაცვით მოამზადა. საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის თარიღი.

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის შემდეგ მატერიალური კორექტირებები არ განხორციელებულა.

19 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის განმავლობაში ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე კომპანიას დამფუძნებელზე არ გაუცია დივიდენდი.

შპს მ.ზოდელავას ჰემატოლოგიური ცენტრი ს/ნ 204966858

2019 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ქ. თბილისი

2020 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომაეობით
ქართულ ლარში

აქტივები	შენიშვნა	2019	2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1009229	987267
არამატერიალური აქტივები	5	3769	3972
საინვესტიციო ქონება	10		
სულ გრძელვადიანი აქტივები		1012998	991239
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	50221	80446
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	703705	429454
მარაგები	8	79225	63351
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები		0	0
წინასწარ გადახდილი გადასახადები		33813	36978
გაცემული სესხები		0	0
სულ მოკლევადიანი აქტივები		**866964**	**610229**
სულ აქტივები		1879962	1601468
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-2000	-2000
გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი		-454186	-347189
გადაფასების რეზერვი		-853293	-860290
სულ კაპიტალი		**-1309479**	**-1209479**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	-201094	-272155
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-201094	-272155
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	11		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	-369389	-119834
საგადასახადო ვალდებულებები			0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		-369389	-119834
სულ ვალდებულებები		-570483	-391989
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**-1879962**	**-1601468**

აღმასრულებელი დირექტორი ლ.გელიაშვილი

მთავარი ბუღალტერი ს. ჯერესელიძე

მოგება–ზარალის და სრული შემოსავლების ანგარიშგება

2019 წლის დასრულებული წლისათვის

ქართულ ლარში

	9 შენიშვნა	2018
ამონაგები	12	-2612956
თვითღირებულება	13	2083748
საერთო მოგება		-529208
სხვა შემოსავლები	12	-10245
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	16	151843
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	14	95
სხვა ხარჯები		4645
საოპერაციო მოგება		**-382870**
ფინანსური შემოსავალი		
ფინანსური ხარჯი	17	27926
წმინდა სავალუტო მოგება/ზარალი		758
მოგება დაბეგვრამდე		**-354186**
მოგების გადასახადი	18	37078
წმინდა მოგება		**-317108**
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების რეზერვი		-8479
მთლიანი სრული შემოსავალი		**-325587**

აღმასრულებელი დირექტორი ლ.გელიაშვილი

მთავარი ბუღალტერი ს. კერესელიძე

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	**-2000**	**-924199**	**-283280**	**-1209479**
წმინდა მოგება		-8479	-317108	-325587
სხვა სრული შემოსავალი			0	0
პერიოდის სრული შემოსავალი			**-317108**	**-325587**
გაცემული დივიდენდი			210110	210110
საწესდებო კაპიტალის ზრდა		15477		15477
2019 წლის 31 დეკემბერი	-2000	-917201	-390278	-1309479

აღმასრულებელი დირექტორი ლ. გელაშვილი

მთავარი ბუღალტერი ს. კერესელიძე

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

შპს მ.ზოდელავას ჰემატოლოგიური ცენტრი ს/ნ 204966858			
ფულადი ნაკადების ანგარიშგება			
		2018	2019
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებიდან და დამკვეთებისგან მიღებული ფულადი სახსრები	6/1		2348869
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	6/2		10245
ზარალის დასაფარად/ზიანის ასანაზღაურებლად/ მიღებული თანხები			
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	6/3		-722075
გაცემული შრომის ანაზღაურება	6/4		-1270201
სამივლინებო ხარჯების ანაზრაურება			
თანამშრომლებზე გაცემული სხვა ხარჯების ანაზღაურება და ავანსები			
გადახდილი გადასახადები /მოგების გადასახადის გარდა/			0
გადახდილი მოგების გადასახადი			-37821
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები			-44124
განსაკუთრებული მუხლებიდან შემოსულობანი/გაცემები ნეტო/ნეტო			-6036
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი			278857
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გასვლიდან შემოსულობანი			
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა			
გრძელვადიანი ინვესტიციების გასვლიდან შემოსულობანი			
სესხის გაცემა			
გაცემული სესხის დაბრუნება			
მიღებული პროცენტები			
მიღებული დივიდენდები			
მიღებული შემოსავალი ერთობლივი საქმიანობიდან			
სხვა შემოსულობანი/გაცემები საინვესტიციო /ნეტო			
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი			
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:			
შემოსულობანი აქციების ემისიისაგან/კაპიტალის ზრდისაგან			
საკუთარი აქციების გამოსყიდვა კაპიტალის შემცირების გამო			
მოკლევადინი სესხების აღება			
მოკლევადინი სესხების დაფარვა			
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების აღება			
გრძელვდიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების დაფარვა			-71061
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებების დაფარვა			
გადახდილი პროცენტები			-27911

გადახდილი დივიდენდები			
გადახდილი მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან			-210110
სხვა შემოსულობანი/გაცემები საფინანსო საქმიანობიდან /ნეტო			
საფინანსო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი			-309082
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა/კლება/ნეტო			
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტის წმინდა ნაზარდი:			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისისათვის			80446
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოსათვის		80446	50221

აღმასრულებელი დირექტორი ლ.გელიაშვილი

მთავარი ბუღალტერი ს. კერესელიძე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის II გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მ.ზოდელავას ჰემატოლოგიური ცენტრი„-ს (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობის გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პრინციპების და პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობასა და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მ ს ს ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები მსს ფასს-იდან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას დაფრთხე არ ემუქრება.

ხემძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 10 მარტს

ლ.გელიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

ს. კერესელიძე

მთავარი ბუღალტერი

1. ორგანიზაციის საქმიანობა

შპს „მ.ზოდელავას ჰემატოლოგიური ცენტრი„ (ს/კ 204966858) (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შესღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანია“ დაარსებულია 2001 წლის 24 ივლისს. კომპანიის მთავარი საქმიანობის სფერო არის სამედიცინო მომსახურება. ასევე ფარმაცევტული საქმიანობა, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბე ჩუღურეთის რაიონში თევდორე მღვდლის ქ # 13.

კომპანია წარმოადგენს სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც ძირითადადორიენტირებულია ჰემატოლოგიის პროფილზე. კომპანიაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 44 თანამშრომელი, ხოლო საშუალოდ 2019 წელს დასაქმებული იყო 46 თანამშრომელი

მფლობელებს შორის წილები განაწილებულია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2019
ირაკლი ბასილაძე 61001014418	17,5%	17,5%
ნათელა იორამაშვილი 01010008915	17,5%	17,5%
მამია ზოდელავა 01008004116	40%	40%
ნინო სესკურია 01008024109	10%	10%
ელენე ფოცხვერიშვილი 01026000597	15%	15%
სულ	100%	100%

მნიშველოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინმდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრიმციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის ორგანიზაციის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად პირველად მოხდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება. შესაბამისად, ორგანიზაციამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის საფუძველზე, რომელიც მოქმედებს 2019 წლის 1იანვრიდან დაწყებული და შემდგომ პერიოდებზე. ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს, კომპანიამ საწყისი ფინანსური ანგარიშგება მოამზადა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის თარიღი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და გამარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. კომპანიის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. კომპანიის შეხედულებებით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი"), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

ქვემოთ მოყვანილი სააღრიცხვო პოლიტიკა კომპანიამ თანმიმდევრულად გამოიყენა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ყველა პერიოდთან მიმართებაში.

სამედიცინოშემოსავლები

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლების ოდენობა საიმედოდ შეიძლება შეფასდეს ან სავარაუდოა, რომ მომავალში ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია კომპანიისთვის. ჯანდაცვის შემოსავლები მოიცავს შემოსავლებს სამედიციო მომსახურების გაწევის შედეგად მიღებულ ან მისაღებ შემოსავლებს სამართლიანი ღირებულებებით, ჯანდაცვის შემოსავლები შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

შემოსავალი კერძო პაციენტებისგან - კომპანია აღიარებს არადაზღვეული პირების შემოსავალს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების და კომპანიის დამტკიცებული ფასების საფუძველზე. ჩვეულებრივ, ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ან ნაღდი ანგარიშსწორებით. გაწეული მომსახურება აღიარებულია იმ საანგარიშო პერიოდში როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა.

შემოსავლები იურიდიული პირებისგან - კომპანია აღიარებს შემოსავალს ფაქტობრივად გაწეული მომსახურებისას დადებული კონტრაქტის საფუძველზე, ანგარიშსწორება ხდება გარკვეული პერიოდულობით, რომელიც არის ხელშეკრულებით დამტკიცებული.

შემოსავლები სადაზღვეო კომპანიებისაგან - კომპანია აღიარებს ფიზიკურ პირთა შემოსავალს, რომლებიც დაზღვეულია სახვადასხვა სადაზღეო კომპანიის მიერ ფაქტობრივი სამედცინო მომსახურების დასრულების საფუძველზე და შეთანხმებულ მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით.

შემოსავლები სახელმწიფო სტრუქტურებისგან - კომპანია აღიარებს იმ პირთა შემოსავალს, რომლებიც სახელმწიფო პროგრამების მიერ ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების შევსების საფუძველზე და შეთანხმებილ მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით.

გაწეული სამედიცინო მომსახურების დანახარჯი

გაწეული სამედიცინო მომსახურების დანახარჯი არის ის ხარჯი, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული სამედიცინო მომსახურებისგან მიღებული შემოსავლის გამომუშავებასთან. აღნიშნული სამედიცინო დანახარჯები მოიცავს სამედიცინო პერსონალის პირდაპირ და არაპირდაპირ სახელფასო ანაზღაურებას, მასალებს, მარაგების, კომუნალურ და სხვა პირდაპირ ხარჯებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებისა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება სპეციფიკური იდენთიფიკაციის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითდი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

შენობა და კომერციული ფართები - 20 – 50 წელი

მანქანა - დანადგარები - 5 წელი

ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი

ავეჯი და სხვა ინვენტარი - 5 წელი

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი

შეკეთება განახლებასთან ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათ ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი. ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ წლის მოგება - ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

არამატერიალური აქტივები

აღიარება და შეფასება

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს. ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული ვადით.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირებულია სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადის - 5 წლის განმავლობაში.

ამორტიზაცია

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია აისახება მოგება ან ზარალში, შემცირებადი ნაშთის გამოყენებით, ძირითადი საშუალებისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- ლიცენზიები 7 წლამდე;

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს.

აღიარების შეწყვეტა

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა განსხვავების შედგად აღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის მუხლი შედგება: დამფუძნებლის მიერ მატერიალური შენატანებისგან, 2018 წლიდან მოყოლებული დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისაგან და 2010 წელში შენობის გადაფასებით მიღებული რეზერვისგან. კომპანია მიღებულ მოგებას ძირითადად იყენებს რეინვესტირებისთვის. საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო და სხვა მოკვლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იქნება აღნიშნული დანახარჯი.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოყვანილი მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორისი სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლით კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები (მაგ: გასაყიდად არსებული წილობრივი ინსტრუმენტები) კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლით კურსი

გაცვლით კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,8677

გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,6766

საშუალო გაცვლით კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის2,5345

საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის 2,8192

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადებს. მიმდინარე გადასახადები აღიარდება მოგება ან ზარალში გარდა გადასახადების იმ ნაწილისა, რომელიც მიეკუთვნება ისეთ მუხლებს, რომლებიც აღიარდება პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის, აგრთვე, წინა წლის საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი დაზუსტება.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვეო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისაგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გამოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადასახადებს, რომლებიც არ უკავშირდება პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებას და ზღვარ გადაცილებულ წარმომადგენლობით ხარჯებს.

დივიდენდები

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება დირექტორთა საბჭოს საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასებების ძირითადი საფუძვლები

მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვევით.

სამართლიანი ღირებულება- არის ფასი რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადაიხდება საიმედოდ, რომ მოხდეს ვალდებულების დაფარვა კანონიერი გარიგების საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისას. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი.

ისტორიული ღირებულება– არის გადახდილი ფულის ან ფულადი ექვიალენტების თანხა ან შეძენის დროს აქტივის შესაძენად გაცემული სხვა ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება და მოიცავს ტრანზაქციის ხარჯებს. თვითღირებულების გაანგარიშება გამოიყენება მხოლოდ იმ წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციების მიმართ, რომელთაც არ აქვთ კვოტირებული საბაზრო ფასი და რომელთა სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ გაანგარიშება შეუძლებელია.

ტრანზაქციის ღირებულება არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას და განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო და მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომელებისთვის რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ

ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებელს. ტრანზაქციის ღირებულება არ მოიცავს სავალო პრემიებს ან ფასდაკლებებს, დაფინანსებების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება– არის თანხა, რომლითაც ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველ აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადასახადის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი– არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი – არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულად შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები, დერივატივები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც აღირიცხება სამართლიანი ღირებულებებით მოგება-ზარალში ასახვით, თავდაპირველად აღარდება სამართლიანი ღირებულებებით. სხვა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტები აღიარდება სამართლიანი ღირებულებებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას სამარლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირელ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შეიძლება იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალში, როდესაც იგი

წარმოიქმნება ერთი ან მეტი შემთხვევის დადგომის შედეგად („ზარალის შემთხვევები"), რომლებიც მოხვდა ფინანსური აქტივის თავდაპირბელი აღიარების შემდეგ და რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობაზე და დაფარვის დროზე, და რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია. თუ განსაზღვრავს, რომ არ არსებობს არანაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება (მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო) ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, ის აქტივს მიაკუთვნებს მსგავსი საკრედიტო რისკ-მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფს და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ. ძირითადი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც განსაზღვრავს, არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და შესაბამისი უზრუნველყოფის რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს. ქვემოთ მითითებული სხვა ძირითადი კრიტერიუმები ასევე გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის არსებობს თუ არა ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება:

- შესატანი დაგვიანებულია და დაგვიანებული გადახდა არ არის გამოწვეული ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეული დაყოვნების გამო;
- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რაც დასტურდება მსესხებელის ფინანსური მდგომარეობის შესახებ კომპანიის მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან;
- მსესხებელი განიხილავს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას
- არსებობს უარყოფითი ცვლილება მსესხებლის გადახდის სტატუსში ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებელზე; ან
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის გაუარესებული მდგომარეობის შედეგად.

გაუფასურების ერთობლივად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლის მქონე აქტივებად. ეს მახასიათებლები მოიცავს აქტივთა ჯგუფების მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების შეფასებას, რომელიც აჩვენებს მსესხებლების უნარს ყველა ვადადამდგარი თანხის დაფარვა განახორციელონ შეფასებული აქტივიების სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

მომავალი ფულადი ნაკადები იმ ფინანსურ აქტივებში, რომელთა გაუფასურებაზე შეფასებაც ერთობლივად ხორციელდება, იანგარიშება ამ აქტივების სახელშეკრულებო პირობების შედეგად მისაღები ფულადი სახსრების და ხალმძღვანელობის წარსული გამოცდილების საფუძველზე გაკეთებული შეფასებით, ზარალის შემთხვევის შედეგად თუ რა ოდენობა სესხებისა მოხვდება ვადაგადაცილებაში და რამდენად წარმატებულად მოხდება ვადაგადაცილებული ოდენობის დაფარვა. წარსულის გამოცდილება კორექტირდება მიმდინარე დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე იმ არსებული პირობების შედეგების ასახვის მიზნით, რომებმაც გავლენა არ მოახდინა გასულ პერიოდზე და წარსული პირობების იმ შედეგების გამოსარიცხად, რომლებიც ამჟამად არ არსებობს.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით ფლობილი გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაიხედება ან სხვაგვარად შეიცვლება მსესხებლის ან ემიტენტის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება შეფასდება პირობების შეცვლამდე გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ხორციელდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომლებიშიც არ შედის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები, რომლებიც არ დამდგარა) მიმდინარე ღირებულებამდე ჩამოწერით, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის საანგარიშო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს დასაკუთრებიდან მიღებულ ფულად ნაკადებს, მინუს უზრუნველყოფის მიღებისა და გაყიდვის ხარჯები, მიუხედავად იმისა დასაკუთრება მოსალოდნელია თუ არა.

თუ რომელიმე მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და შემცირება ობიექტურად დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების აღიარების შემდეგ (როგორიცაა გაუმჯობესება დებიტორის საკრედიტო რეიტინგში), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუქმდება რევიზიის ანგარიშის კორექტირებით, რომელიც ასახვას ჰპოვებს მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

ამოუღებადი (უიმედი) აქტივები ჩამოიწერება შესაბაისი გაუფასურების ანარიცხის ხარჯზე - ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროედურის დასრულებისა და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება.

ორგანიზაცია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (გ) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის გადაცემა ან (დ) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაკისრების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ახალი ან შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღმა ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. კომპანიამ შეაფასა, შეძლებისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ბასს 28-ში შესული ცვლილებები (2014-2016 პერიოდის ფასს სტანდარტების ყოველწლიური ცვლილებები, გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდშებში (ნებადართულია ადრეული გამოყენება), აზუსტებს:

მოკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციების, ასევე ინვესტიციების ერთობლივ საქმიანობაში, რომელიც განხორციელებულია ვენჩურული კაპიტალის მქონე, საერთო ფონდების, ან სხვა მსგავსი ტიპის ორგანიზაციების მიერ, უფლება აქვთ თითეული ინვესტიცია თავდაპირველი აღიარებისას აღიაროს სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

ცვლილებებს არ მოუხდნია გვალენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 40-ში შესული ცვლილებები (გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან/და პერიოდის შემდეგ (ნებადართულია ადრეული გამოყენება).

განმარტავს, რომ საინვესტიციო ქონების კლასიფიკაცია სხვა მუხლებში, ან პირიქით სხვა მუხლებიდან საინვესტიციო ქონებაში კლასიფიკაცია მხოლოდ მაში უნდა განხორციელდეს (მათ შორის იმ აქტივობისა რომლებიც არის მშენებლობის და განვითარების სტადიაში) როდესაც არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ქონების გამოყენების შინაარსის ცვლილება მოხდა. ცვლილებებს არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს–10 და ბასს 28-ში „ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების „შეძენა/გაყიდვა"(გამოიცა 2014 წლის სექტემბერში), ცვლილებები ეხება ორ სტანდარტს შორის არსებულ შეუთავსებლობას და განმარტავს, რომ მოგება ან ზარალი სრულად უნდა იქნას აღიარებული, როდესაც ტრანზაქციაში ჩართულია ბიზნესი, და ნაწილობრივად, თუ მასში ჩართულია აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს. ამ ცვლილებების ამოქმედების დღე თავდაპირველად იყო 2016 წლის იანვარი, მაგრამ გადაიდო განუსაზღვრელი ვადით, თუმცა მისი ადრეული გამოყენება ჯერ კიდევ ნებადართულია. აღნიშნულ ცვლილებებს არ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები" (გამოიცა 2014 წლის ივლისში)– ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს-39-ს და ფასს–9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს. იგი შეიცავს მოთხოვნებს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასებისათვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვისა და აღიარების შეწყვეტისათვის.

ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი შეფასდეს ამორტიზირებული ან სამართლიანი ღირებულებით (მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ან სხვა სრულ შემოსავალში) იმის მიხედვით, თუ რომელ ბიზნეს მოდელში ექცევა ისინი ან როგორია მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსური ვალდებულებებისათვის ფასს 9-ის ყველა მნიშვნელოვანი გავლენა დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, როდესაც შერჩეულია სამართლიანი

ღირებულების მეთოდი: სამართლიანი ღირებულებით მოგება–ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულების ცვლილება, რომელიც უკავშირდება აღნიშნული ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში და არა მოგება ზარალის ანგარიშგებაში. გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული იწვევს სააღრიცხვო შეუსაბამობას. ფინანსური აქტივების გაუფასურებისათვის ფასს 9 უზრუნველყოფს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის" მოდელს, რომელიც დამყარებულია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების ცნებაზე ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე; საკრედიტო ზარალის აღიარებამდე აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობის საჭიროება.

ჰეჯირების აღრიცხვისათვის ფასს 9 შეიცავს არსებით შესწორებებს, რომელთა თანახმად ფინანსურ ანგარიშგებაში უკვე აისახება რისკის მართვის საქმიანობები, როდესა ხდება ფინანსური და არაფინანსური რისკის ჰეჯირება.

აღიარების შეწყვეტის დებულებები თითქმის უცვლელად არის გადმოტანილი ბასს 39-იდან.

ხელმძღვანელობის მოლოდინით ფასს 9 გამოყენებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ახალი სტანდარტის გამოყენებას სავარაუდოდ გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე. ამ ეტაპზე კომპანია არის შეფასების პროცესში, თუ რა გავლენას მოახდენს ფასს 9-ზე გადასვლა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ დასრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 15 „შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან" (გამოიცა 2014 წლისმაისში)- ახალი სტანდარტი, რომელიც ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 11, ბასს 18 და მათ ინტერპრეტაციებს (იმლ 31 და ფაისიკ 13, 15, და 18) იგი აწესებს შემოსავლების აღიარების ერთიან და ამომწურავ სისტემას, რომელიც მუდმივად ექნება გამოყენებული სხვადასხვა ტრანზაქციებთან, ინდუსტრიებთან და საფონდო ბაზრებთან მიმართებაში ძირითადი პრინციპებით (ხუთი ეტაპის მოდელზე დაყრდნობით, რომელიც იმოქმედებს მომხმარებლებთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაზე), გაუმჯობესებული განმარტებებით, და ახალი ან გაუმჯობესებული ინსტრუქციებით (მაგ: როდის ხდება შემოსავლის აღიარება, ცვალებადი ანაზღაურების აღრიცხვა, ხელშეკრულების შესრულების და მიღების ხარჯები, და სხვა). დირექტორების მოლოდინით, ფასს 15-ის გამოყენება

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს კომპანიის შემოსავლებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე, თუმცა არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 16 „იჯარა" (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდა 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს–17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეს (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალღირებულებიანი იჯარისა) ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი რჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება.

დირექტორების აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს კომპანია, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალებულო. თუმცა არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2018 წლის მაიში) – სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4–ს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ადრეული გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9–ს და ფასს 15–ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვეო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადეგ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვეო გარიგებისთვის. ზემოხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისთვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვეო გარიგების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვეო ხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღირიცხოს გადაზღვევისა და დაკისრებული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები.

ფინანსურიანგარიშგებისგანმარტებითი

შენიშვნები

შენიშვნა – 4

ძირითადი საშუალებები

ლარში	შენობა–ნაგებობები	მანქანა–დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	ჯამი
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	908583	72359	60736	0	0	1041678
შესყიდვა	0	14729	19905		0	34634
გასვლა			400	0		400
გაუფასურება						0
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია	5131					5131
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	913714	87088	80241	0	0	1081043
დაგროვილი ცვეთა						0
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	-45155	-4848	-4408			-54411
ცვეთის ხარჯი	-9137	-4354	-3912			-17403
გასული აქტივის დაგროვ. ცვეთა						0
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	-54292	-9202	-8320	0	0	-71814
საბალანსო ღირებულება						0
2017 წლის ბოლოს	**863428**	**67511**	**56328**	**0**	**0**	987267
2018 წლის ბოლოს	**859422**	**77886**	**71921**	**0**	**0**	1009229

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოშიკომპანიის ძირითად საშუალებებზე რეგისტრირებულია ყადაღა/აკრძალვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28,12,2016 წლის განჩინება # 2/39827-16–ის საფუძველზე .

2019 წლის ცვეთის ხარჯიდან 54 411 ლარი აღიარებულ იქნა პირდაპირ საოპერაციო ხარჯად.

შენიშვნა – 5

არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2018 წლის ბოლოს	4052		0	4052
შემოსვლა			0	0
გასვლა			0	0
2018 წლის ბოლოს	4052	0	0	4052
დაგროვილი ამორტიზაცია				0
2018 წლის ბოლოს	80		0	80
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	203		0	203
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია				0
2019 წლის ბოლოს	283	0	0	283
საბალანსო ღირებულება				0
2018 წლის ბოლოს	3972	0	0	3972
2019 წლის ბოლოს	3769	0	0	3769

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის არამატერიალური საშუალებები არ არის დაგირავებული. კომპანიის ბალანსზე არ არის სრულად ამორტიზირებული არამატერიალური საშუალებები.

შენიშვნა – 6 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	12/31/19	12/31/18
ფული სალაროში	507	647
ფული საბანკო ანგარიშებზე	49714	79799
	50221	80446

არ არსებობს მატერიალური სხვაობა ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

შენიშვნა – 7 სავაჭრო და სხვა მკლევადიანი მოთხვნები

ლარი	31/12/2019	31/12/2018
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	669866	388617
საეჭვო ვალების ანარიცხების რეზერვი	33839	40837
მოთხოვნები საქარმოს პერსონალის მიმართ	0	0
	703705	429454

არ არსებობს მატერიალური სხვაობა დებიტორულ მოთხოვნების საბალანსო და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

შენიშვნა – 8 მარაგები

ლარში	31/12/2019	31/12/2018
მზა პროდუქცია	78945	63351
ნედლეული		
დაუმთავრებელი წარმოება		0
საქონელი	280	0
სხვა მარაგები	79225	63351

შენიშვნა– 9 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	31/12/2019	31/12/2018
სავაჭრო ვალდებულებები	-320332	-75707
მიღებული ავანსები	-49057	-44127
გადახდილი პროცენტები		
გადახდილი დივიდენდები		
სხვა ვალდებულებები	0	
	-369389	-119834

შენიშვნა – 11 სესხები

ლარში	მოკლევადიანი		გრძელვადიანი	
	31/12/2019	31/12/2018	31/12/2019	31/12/201
ბანკის სესხები	0		-201094	-27215
დაკავსირებული მხარეების სესხი	0			
ოვერდრაფტები	0			
სულ სესხები	0	0	-201094	-27215

შენიშვნა – 12 ამონაგები

ლარი	31/12/2019	31/12/2018
შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან	-2612956	
იჯარა და დღე–ით დასაბეგრი ოპერაციები	0	
სხვა საოპარაციო შემოსავლები	0	
	-2612956	0

შენიშვნა – 13 თვითღირებულება

ლარში	31/12/2019	31/12/2018
მზა პროდუქციის თვითღირებულება		
ნედლეულის თვითღირებულება		
მომსახურების თვითღირებულება	2 083 748	
	2083748	0

შენიშვნა – 14 მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

ლარი	31/12/2019	31/12/2018
სარეკლამო ხარჯი	95	
საწვავის ხარჯი		
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი		
რეალიზაციის ხარჯი		
	95	0

შენიშვნა 15

ლარი	31/12/2019	31/12/2018
დებიტორული დავალიანების კორექტირება	2131	
არასაოპერაციო ხარჯი	2514	
მზა პროდუქციის განადგურების ხარჯი	0	
მოგების გადასახდის ხარჯი	0	
კანონმდებლობის თანახმად ქონების გადასახადი	0	
	4645	0

შენიშვნა – 16 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	31/12/2019	31/12/2018
შრომის ანაზღაურება	18262	
ცვეთა და ამორტიზაცია		
საგადასახადო ხარჯი		
საკონსულტაციო ხარჯი	10800	
რემონრის ხარჯი		
ბანკის მომსახურება	5260	
წარმომადგენლობითი ხარჯი	565	
იჯარის ხარჯი		
დაზღვევის ხარჯი		
მივლინების ხარჯი		
კომუნიკაციის ხარჯი		
კომუნალური ხარჯი	41086	
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	75870	
	151843	0

შენიშვნა – 17 ფინანსური ხარჯი

ლარი	31/12/2019	31/12/2018
ბანკის სესხის პროცენტი	27926	
დაკავშირებული მხარის სესხის პროცენტი		
სხვა ფინანსური ხარჯები	27926	0

8 მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებს ერთ–ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა2017 წლის 1 იანვრიდან.

შენიშვნა – 18 მოგების გადასახადის ხარჯი

ლარი	31/12/2019	31/12/2018
მიმდინარე მოგების ხარჯი	37078	0
	37078	0

საანგარიშო წელში შპს–ს განაწილებული აქვს მოგება 210110 ლარი, საიდანაც მოგების გადასახადმა შეადგინა 37078 ლარი.

გადავადებული მოგების გადასახადი

ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილებს შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება მოგების განაწილების დროს არ აღიარდება კომპაიის ბალანსზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთა მიმართებაში. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებული შემდეგ ვალუტაში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	50221	0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	703705	0	0
გაცემული სესხები		0	0	0
სულ ფინანსური ვალდებულებები		753926	0	0

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო
სესხები	11	-201094	0	0
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	-369389	0	0
სულ ფინანსური ვალდებულებები	20	-570483	0	0

31 დეკემბერი 2019 წელი

	აშშ დოლარის გავლენა				
მოგება/ზარალი	317108	110578	317108/110579	27644	20%
	317108	138222	317108/92149	-18430	-20%

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსი სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკურსი სხვაობის განაკვეთების ცვლილებების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

15 კაპიტალი

2019 წლი 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენ 2000 ლარს.

გადაფასების რეზერვი – 853 293 ლარს და გაუნაწილებელი მოგება 454 186 ლარს. შპს–ს მთლიანი კაპიტალი 1 309 479 ლარს შეადგენს.

2019 წლის საანგარიშგებო პერიოდში შპს–ს დივიდენდი აქვს განაწილებული

210 110 ლარი

16 მიღებული სესხები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს სასესხო ვალდებულება, 201 094 ლარი

2019 წლის სესხის საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 27 926 ლარი.

ხელშეკრულების მიხედვით სესხის ძირის და პროცენტის გადახდა წარმოებდა ყოველთვიურად.

17 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა რომ, მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულის წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვლილებადობს შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ერთ–ერთ ძირითად კომპონენტს – სავალუტო რისკს.

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასანგრევად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	1/01/2019	31/12/2018
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	50221	
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	703705	
გაცემული სეხები		
	753926	0

შენიშვნები – 14

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები	მოკლევადიანი ვალდებულებები
2019 წლის დასაწყისში	**-272155**	**-119834**
სესხები	-272155	0
საგადასახადო ვალდებულებები		0
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		-119834
2019 წლის ბოლოს	**-201094**	**-369389**
სესხები	-201094	
საგადასახადო ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		-369389
მიღებული ავანსები		0

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მერე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების ან შესრულების შემთხვევში.

2018 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთამნეთს არ ემთხვევა.

ხელმძღვანელობის პოზიციით, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

18 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შპს „მ.ზოდელავას ჰემატოლოგიური ცენტრი„–ს ს/ნ 204966858 მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

არის პირველი, რომელიც მან მსს ფასს–ების სრული დაცვით მოამზადა. საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის თარიღი.

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის შემდეგ მატერიალური კორექტირებები არ განხორციელებულა.

19 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის განმავლობაში ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე კომპანიას დამფუძნებელზე არ გაუცია დივიდენდი.